

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური  
მეთოდური კაბინეტი

დ. ჯავახიშვილი

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წარს  
ორგანიზაციული, სასწავლო და მხავეჭვლი  
მუშაობა საკლუბო დანესებულებებში



კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური  
მეთოდური კაბინეტი

დ. ჯაფარიშვილი

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წარს  
ტრაგანიზაციული, სასწავლო და მხეგვრული  
მუშაობა საკლუბო დანესეგუდეგეში

რედაქტორი ლ. გვარამაძე  
მხატვარი ა. ჭელიძე

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, აკ. წერეთლის ქუჩა,  
ფე 02852 შეკვ. 423 ტირაჟი 1000

საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ხალხური მხატვრული თვითმოქმედება აყვავდა, გაიფურჩქნა და არნახულ, გრანდიოზულ განვითარების გზაზე დადგა. გაიზარდნენ და შემოქმედებითად განმტკიცდნენ ხალხური მხატვრული თვითმოქმედების წრეები და კოლექტივები. 1951 წელში ჩატარებულ მეშვიდე რესპუბლიკურ მხატვრულ თვითმოქმედების გასინჯვაში საქართველოს რაიონებში 888 თვითმოქმედ კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა 30.000 შემსრულებლის შემადგენლობით. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, რომელიც ქ. თბილისში ჩატარდა (1951 წ. 15 — 23 ოქტომბერი) მონაწილეობა მიიღო 9.000 შემსრულებელმა, მათ რიცხვში 7.000 მონაწილემ სხვადასხვა რაიონებიდან.

ეს ციფრები (მოყვანილია ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურ მასალებიდან) აშკარად ამტკიცებენ ხალხური მხატვრული თვითმოქმედების დიდ ზრდას ჩვენ რესპუბლიკაში და მოწმობენ, რომ საბჭოთა სოციალისტურ ქვეყანაში უსაზღვრო ასპარეზია გახსნილი მშრომელ საბჭოთა ხალხის თავისუფალ შემოქმედებისა და მათი ნიჭის განვითარებისათვის.

მხატვრული თვითმოქმედების ასეთი ზრდა შედეგია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუწყობელ ყურადღებისა და მზრუნველობის. ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომი განვითარების პერსპექტივები ბრწყინვალე და თვალუწვდენელია, რადგანაც საბჭოთა ქვეყანაში ხელოვნების საქმე თვით შემოქმედ მშრომელ ხალხის ხელშია, რადგანაც იგი გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველყოფილობით, ხალხთა მეგობრობით, მშვიდობიანი შემოქმედების პათოსით, რადგანაც იგი კომუნისმის დიადი იდეებით გაბრწყინებული, სოციალისტური კულტურის შემდგომ განვითარებასა და კომუნისტური აღზრდის საქმეს ემსახურება.

## თვითმოქმედ ქორეოგრაფიული წრის ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობა

### წრის წარმატებით მუშაობისათვის საჭირო პირობები. წრის ხელმძღვანელი

კლებთან არსებული თვითმოქმედი წრეები, როგორცაა დრამატული, საგუნდო, ქორეოგრაფიული და სხ. მხოლოდ მაშინ აღწევენ ხარისხოვან შედეგებს, როდესაც მათი საქმიანობა წინასწარ დამუშავებული გეგმისა და პროგრამის საფუძველზე წარმოებს, როდესაც გათვალისწინებულია თვითეული წრის სპეციფიკურობა და მათი მუშაობის ნორმალურად მსვლელობისათვის შექმნილია შესაფერისი პირობები.

ქორეოგრაფიული წრის მუშაობის ხარისხიანობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზედ, თუ რამდენად დროულად და სწორედ არის გადაკრილი ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობის საკითხები, რამდენად კვალიფიციურია წრის ხელმძღვანელი, აქტიურია წრის შემადგენლობა, სისტემატურ ხასიათს ატარებს წრის წევრთა შორის აღმზრდელობითი, იდეურ-პოლიტიკური და შემოქმედებითი მუშაობა, რამდენად მუყაითად წარმოებს წრის მუშაობის აღრიცხვა, შემოწმება და სხვ.

წრის ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივის ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობა ორგანულად და მკვიდროთ არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, ამიტომ ის არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ საწვრთნო გაკვეთილის ჩატარებით, არამედ ზრუნავდეს წრის მთლიანი მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

თვითმოქმედ ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი საბჭოთა კულტურის მუშაკია, ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმის უშუალო მონაწილე, საბჭოთა ხელოვნების და კერძოდ ქორეოგრაფიული ხელოვნების აგიტატორი, ორგანიზატორი, ამიტომ თვითმოქმედ ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელისაგან მოვითხოვთ არა მარტო ვიწრო პროფესიულ ცოდნას

არამედ პედაგოგ-ალმწირობის გამოცდილებას, ორგანიზატორულ და შემოქმედებით უნარს.

წრის მუშაობის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზედ, თუ რამდენად სისტემატურად და მუყაითად ემზადება ხელმძღვანელი თვითეულ გაკვეთილისათვის, რამდენად ბეჭითად ზრუნავს იგი თავისი და წრის წევრების იდეურ-პოლიტიკური და ზოგადი კულტურის დონის ამაღლებაზე.

წრის ხელმძღვანელმა თავისი ცოდნით, მუყაითობით, დაკვირვებული შრომით წვერთა შორის ავტორიტეტი უნდა დაიმსახუროს და ყველასათვის მისაბაძი გახდეს. თუ მან თავიდანვე ვერ მოიპოვა წვერთა შორის ნდობა, პატივისცემა და სიყვარული, ის მუშაობას ვერ წარმართავს ნაყოფიერად.

მაშასადამე, ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელის მუშაობა რომ უპასუხებდეს პარტიისა და ხალხის მიერ წამოყენებულ მაღალ მოთხოვნილებებს მხატვრულ თვითმოქმედებისადმი, ხელმძღვანელი უნდა ზრუნავდეს თავისი და წრის წევრების იდეურ-პოლიტიკურ დონის ამაღლებაზე და შემოქმედებითად ზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქორეოგრაფიის პროფესიულ მსახიობთა შემადგენლობაში ბევრია ეროვნული ცეკვების დიდი ოსტატობით შემსრულებელი ახალგაზრდა, რომელმაც ამ დარგში მუშაობა სწორედ თვითმოქმედ წრეში ან კოლექტივში დაიწყო. ბევრი მათგანი ფრთხილ ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა თვითმოქმედ და პროფესიულ ქორეოგრაფიულ დაწესებულებებში. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დღეს თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ხელოვნება არ არის ბევრად გამიჯნული პროფესიულ ხელოვნებისაგან, რომ ზოგიერთი ქორეოგრაფიული წრის ან კოლექტივის მხატვრული-შემოქმედებითი მუშაობა არაფრით არ ჩამორჩება პროფესიულ კოლექტივის საქმიანობას და მეტოქეობასაც კი უწევს მას. ამიტომ თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრის წევრებიდან ნიჭიერ შემსრულებელთა დროული გამოვლინება, მათთან მუშაობის გაძლიერება დამატებითი ინდივიდუალური სწავლა-წერტნის სახით, მათი ტექნოლოგიური მასალის მარაგის გაზრდა, სამსახიობო ოსტატობის განვითარებაზე ზრუნვა ქორეოგრაფ-ხელმძღვანელის საპატიო ვალდებულებად უნდა ჩავთვალოთ.

ორგანიზაციულ საკითხების მოგვარებაზე წრის ხელმძღვანელი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდეს. მთავარ ორგანიზაციულ საკითხებად ჩაითვლება შემდეგი:

1. წრის პრაქტიკული მუშაობის ნორმალური მსვლელობისათვის სათანადო პირობების შექმნა.

2. ახალი წრის ჩამოსაყალიბებლად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

3. უკვე არსებული წრის სასწავლო პროგრამის გადასინჯვა და გადახალისება წარსული წლის პრაქტიკის, დაკვირვების, გამოცდილებისა და არსებული პირობების გათვალისწინების საფუძველზე.

4. სავარჯიშო ადგილების (დარბაზი, მოედანი და სხვ.) სანჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად შესაფერის ღონისძიებების დამუშავება და ცხოვრებაში გატარება.

5. სასწავლო გეგმისა და პროგრამების დამუშავება.

6. სამეცადინო ცხრილის შედგენა.

7. სარეპერტუარო პროგრამის შედგენა.

8. დისციპლინის განმტკიცება.

9. წრის მუშაობის პოპულარიზაციისათვის ღონისძიებათა დამუშავება და ცხოვრებაში გატარება.

10. მხატვრული საჯარო გამოსვლების ორგანიზაცია და ჩატარება.

11. ლექციებისა და საუბრების ჩატარება.

12. ექსკურსიების ორგანიზაცია და სხვ.

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის ჩამოყალიბება ან უკვე არსებული წრის მუშაობის გაშლა შეუძლებელია, თუ იგი უზრუნველყოფილი არ არის შესაფერისი სივრცის ფარგლებით და მეცადინეობისათვის საჭირო სანჰიგიენური პირობები არ არსებობს, ამიტომ კლუბის გამგეს (ან საბჭოს) და წრის ხელმძღვანელს ეკისრებათ ქორეოგრაფიული წრისათვის ისეთი სამეცადინო ადგილის გამოყოფა (შერჩევა), რომელიც უზრუნველყოფს წრის ნორმალურ და სისტემატურ მეცადინეობას.

წრის საწვრთნო ან სარეპერტიციო მუშაობა ზამთრის პერიოდში დახურულ დარბაზში უნდა მიმდინარეობდეს, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულის (ზოგჯერ კი შემოდგომის პირველ ნახევარში)



პერიოდში შესაძლებელია სუფთა ჰაერზე წარმოებდეს (ბაქანი, მინდორი, სტადიონი, სასპორტო მოედანი და სხ.).

კლუბისა და წრის ხელმძღვანელების მოვალეობაა თავიდანვე მიიღონ შესაფერისი ზომები, რათა ქორეოგრაფიული წრის სამეცადინო დარბაზში (ან საერთოდ სამეცადინო ადგილზე) ყოველთვის დაცული იქნას განსაკუთრებული სისუფთავე; მეცადინეობის დაწყების წინ, დასვენებებზე (წყვეტებზე) და დამთავრების შემდეგ დარბაზი უნდა განიავდეს. ტყუილად არ არის ნათქვამი: „მოცეკვავე არა მარტო ფეხებით, ფილტვებითაც ცეკვავსო“. მტკრიან ადგილზე (მინდვრად იქნება ეს თუ შენობაში) მეცადინეობა არავითარ შემთხვევაში დასაშვები არ არის.

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ახალი წრის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა წინასწარ ჩატარებულ იქნას შესაფერისი მოსამზადებელი მუშაობა, როგორცაა: საუბრები, განცხადებები ადგილობრივ რადიო-კვანძის საშუალებით, სპეციალური განცხადებები, რომლებიც გამოიკვრება წითელ კუთხეში, საერთო საცხოვრებლებში, კლუბებში და სხვ. მაგრამ ყველაზე ძლიერ საშუალებათ წრეში ახალი წევრების მოსაზიდავათ შეიძლება ჩაითვალოს ქორეოგრაფიული წრის კარგად ორგანიზებული საჯარო მხატვრული გამოსვლა დახვეწილი პროგრამით.

წლიური სამუშაო გეგმისა და სასწავლო პროგრამის შედგენა წარმოებს არსებული პირობების წინასწარ გათვალისწინებით, წარსულში წარმოებულ მუშაობის გამოცდილების გამოყენებით და მომავალში მოსალოდნელი პირობების შეცვლასთან შეფარდებით. მაგალითად: დღეს ქორეოგრაფიული წრე მუშაობს მცირე ფართობის დარბაზში, ხოლო ახლო მომავალში მას უთმობენ სხვა, ახალ დარბაზს, რომლის ფართობიც საშუალებას იძლევა კიდევ ერთი ან ორი ახალი ჯგუფი იქნას ჩამოყალიბებული, ან მუშაობა თვითეულ ჯგუფისათვის წარმოებდა კვირაში ორჯერ, ხოლო პირობების შეცვლის გამო შესაძლებელი ხდება წრის მუშაობის ორგანიზაცია კვირაში ოთხჯერ ან ყოველდღიურად და სხვ.

სასწავლო პროგრამის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ჯგუფების რაოდენობა, სქესი და ასაკი, ფიზიკური მომზადება, მოსწავლეთა ცოდნა-გამოცდილება, მეცადინეობის დრო (წლის პერიოდები: ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა), წრის წევრთა დატვირთვა წრის გარეშე მუშაობით, განზრახული

მსატკრული რეპერტუარის მოსამზადებლად მოცემული ვადა და ხხვა. სასწავლო პროგრამა არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს. წრის ხელმძღვანელი ვალდებულია მუშაობას აწარმოებდეს გარკვეული და რეალურად შედგენილი პროგრამის საფუძველზე, მუშაობის პროცესში უნდა აკვირდებოდეს იმას, თუ რამდენად უდგება სინამდვილეში პროგრამის მასალა მოსწავლეთა მოცემულ კონტიგენტს და მათ მომზადებას. დაკვირვების შედეგები შეაქვს თავის დღიურში, რომ შემდეგში, ახალი პროგრამის დამუშავების დროს, დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე შესაფერისად დააზუსტოს პროგრამის მასალა. ცხადია, რომ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ის მუშაობაც, რომელიც მსატკრულ ნაწილს ეკუთვნის.

წრის წარმატებითი მუშაობა დამოკიდებულია აგრეთვე შეგნებული შრომითი დისციპლინაზე, რომლის განმტკიცებაზედაც უნდა ზრუნავდეს არა მარტო წრის ხელმძღვანელი, არამედ წრის აქტივი და წრის თვითეული წევრი. ამისათვის წრის ხელმძღვანელი და წრის აქტივი უნდა ცდილობდნენ არ დასტოვონ ყურადღების გარეშე წესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. თავისდროზედ მიღებული ზომები, როგორცაა ამხანაგური, მეგობრული რჩევა-დარიგება, გაფრთხილება, საუბრების ჩატარება და სხვა აღმზრდელითი ღონისძიებანი, უფრო ხშირად აღწევს დადებით შედეგს, ვიდრე მკაცრი ადმინისტრატიული ზომები. ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს ჩაუნერგოს წრის წევრებს იმის გაგება, რომ წრეში მიღებული სავალდებულო წესების დარღვევა სახელს უფუჭებს ორგანიზაციას (წრეს, კოლექტივს) და უარყოფითად აოქმედებს წრის საქმიანობაზე, რომ თვითეული წევრთაგანი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს წრეში შრომითი დისციპლინის და საერთოდ წევრთა ყოფაქცევის განმტკიცებაში. კომკავშირლებმა, როგორც წამყვანმა ახალგაზრდობამ, შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და მუყაითი სწავლა-შრომის მაგალითი უჩვენონ დანარჩენებს.

თვითმოქმედ ქორეოგრაფიული წრის საქმიანობაში საუბრების, ლექციების, ექსკურსიების ორგანიზაცია-ჩატარებას შესაფერისი დრო და ადგილი უნდა დაეთმოს და სისტემატურად ტარდებოდეს. ცხადია, ამ ღონისძიებების განხორციელებას არ უნდა

ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი, არამედ სისტემატურად და გეგ-  
მურად წარმოებდეს. არ არის სავალდებულო, რომ ზემოაღნიშნუ-  
ლი ყველა ღონისძიებების ჩატარებას ყოველთვის თვითონ წრის  
ხელმძღვანელი ოფიციალურად თაოსნობდეს, ზოგჯერ საჭიროა  
ინიციატივა თვით წრის წევრებს მიენდოთ. წრის ხელმძღვანელი ამ  
შემთხვევაში დახმარებას უწევს წრის წევრებს, არიგებს, ურჩევს, მი-  
უთითებს, ასწავლის. ასეთი მიდგომა წრის წევრებს წახალისებს და  
აძლრავს მათში სურვილს საქმისათვის სასარგებლო სხვა რომელაღე  
ღონისძიების განხორციელებაშიაც ჩაება და ინიციატივა გამოიჩი-  
ნონ.

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის ყოველ წევრს ღრმად  
უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ქორეოგრაფიული მეცადინეობა  
არ წარმოადგენს გართობის ერთ-ერთ სახეს, არამედ იგი საბჭოთა  
ხელოვნების ფრიალ მნიშვნელოვანი დარგია და დიდი კულტურ-  
ლი ღონისძიება მშრომელი საბჭოთა ხალხის მხატვრულად აქ-  
წრდის საქმეში.

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის მუშაობის პოპულა-  
რიზაციისათვის, როგორც აღნიშნული იყო ზევით, ყველაზედ  
ეფექტურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს კარგად ორგანიზებული  
საჯარო მხატვრული გამოსვლა დახვეწილი პროგრამით, რომელ-  
საც, სასურველია, წინ უძღოდეს წრის ხელმძღვანელის ან რომე-  
ლიმე წევრის მოკლე შესავალი სიტყვა წრის საქმიანობის შესახებ.  
სიტყვაში საჭიროა აღნიშნული იქნას აგრეთვე მოწინავე წევრე-  
ბის — სტახანოველების, დამკვრელების მიღწევებიც მათი ძირი-  
თადი პროფესიულ სამუშაოზედ, მოყვანილ იქნას რამდენიმე მა-  
გალითი, თუ რა დადებით გავლენას ახდენს ზოგიერთი წევრე-  
ბის ან კოლექტივის შეგნებული დისციპლინის, მუყაითი შრომისა  
და წესიერი ყოფაქცევის კარგი მაგალითი თვითმოქმედ ქორეო-  
გრაფიული წრის ავტორიტეტის განმტკიცებაზე, მხატვრული მუშა-  
ობის ღონის ამალღებაზე და სხვა.

მხატვრული გამოსვლების შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს  
საუბრები, სადაც მაყურებლებს ექნებათ საშუალება გამოთქვან  
თავისი აზრი, შთაბეჭდილებანი, მიმართონ წრის ხელმძღვანელს  
ან აქტივს შეკითხვებით. კავშირის გაბმა მაყურებელთან, მათი სა-  
სარგებლო წინადადებების მოსმენა-გათვალისწინება ხელს შეუწყ-  
ყობს წრის მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

საჯარო მხატვრული გამოსვლები შესაძლებელია მოეწყოს საბჭოთა დღესასწაულებთან დაკავშირებით, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ადგილობრივ მნიშვნელობის ან საერთო ღონისძიებებთან დაკავშირებით (თესვის ან მოსავლის აღების, არჩევნების დღეს, ელექტრო-სადგურის გახსნის, კლუბის ახალი შენობის გახსნის, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების დროს და სხვ.).

როგორც სასწავლო, აგრეთვე წრის მხატვრული შემოქმედებითი მუშაობა წინასწარ დამუშავებული გეგმისა და პროგრამის საფუძველზე უნდა წარმოებდეს. მზადებას მხატვრულ გამოსვლებისათვის არ უნდა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი და ხელს არ უნდა უშლიდეს ნორმალურ სასწავლო-საწვრთნო მუშაობას. არ უნდა განმეორდეს ის შეცდომები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა წარსულში ზოგ რაიონებში, სადაც ადგილობრივ, სარაიონო ან რესპუბლიკურ თვითმოქმედ ოლიმპიადებზე მონაწილეობის მისაღებად მზადების პერიოდში ნორმალურ სასწავლო-საწვრთნო მუშაობას სწყვეტდნენ, მთელ დროს მხოლოდ საგამოსვლო პროგრამის მზადებას ანდომებდნენ და მუშაობას მხოლოდ წრის იმ წევრებთან აწარმოებდნენ, რომელნიც ოლიმპიადაში ან გასინჯვაში მონაწილეობისათვის იყვნენ არჩეულნი. ამ გარემოებას არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა წრის იმ წევრებზედ, რომელნიც მზადებისათვის მონაწილეთა რიცხვში ვერ მოხვდნენ და მათთვის „არავის ეცალა“. ცხადია, რომ, ზოგჯერ, სხვადასხვა პირობების გამო, ქორეოგრაფიული წრის მთელ შემადგენლობას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მხატვრულ გამოსვლაში ან გასინჯვაში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა წრის ხელმძღვანელმა მონაწილეს შესაფერისი გამოსავალი: წრის იმ წევრთათვის, რომელნიც გამოსვლაში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებენ (როგორც მოცეკვავე-შემსრულებელნი), გამოჰყოს ცალკე სამეცადინო საათები, ჩააბას ზოგი მათგანი ორგანიზაციულ საქმეში, მისცეს ესა თუ ის დავალება, დაისწროს რეპეტიციებზე, რათა გააცნოს სარეპეტიციო მუშაობის შინაარსს და ხასიათს და სხ. იმ მიზნით, რომ წრის ყოველი წევრი გრძნობდეს თავის თავს მზადების თუ არა უშუალო მონაწილეთ, დამხმარეთ მაინც.

მხატვრული გამოსვლების პროგრამა განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა იქნას დამუშავებული. თვითეული ცეკვის ან დადგმის განხორციელებისათვის საჭიროა წრის ხელმძღვანელის

დაკვირვებული და სერიოზული წინასწარი მუშაობა წრის წევრებთან.

მთელი რიგი ხალხური ნაწარმოებების, მაგალითად, „ჩაგუნას“, „ძაბრალეს“, „შავლეგოს“ და სხ. შესრულება მხოლოდ სასიმღერო გუნდის, ქორეოგრაფიული და დრამატული წრეების წევრთა ერთობლივი თანაშემოქმედებით ხორციელდება, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ძველათ ხალხურ შემოქმედებაში ცეკვა მუსიკასა და დრამატულ განსახიერებას იშვიათად თუ იყო მოწყვეტილი. ახლა, როდესაც საფერხულსო შესრულების სცენებიდან ცეკვა ან სიმღერა გამოყოფით სრულდება, ამით ღარიბდება ხალხური შემოქმედების ნაწარმოები, ეკარგება ნამდვილი ხალხური ხასიათი, ადვილად ხდება კონკრეტულ შინაარსს (გარკვეულ ტექსტს) მოწყვეტილ ცეკვების ერთმანეთში არევა. ამას უნდა ვერიდოთ.

შხატერული გამოხვლების პროგრამის დასამუშავებლად მთავარია: თემის ამორჩევა სწორი იდეური მიმართულების საფუძველზე, შემსრულებელთა ძალების გათვალისწინება, მზადების ვადა და მატერიალური შესაძლებლობანი.

წრის ხელმძღვანელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ წრის ყოველ გამოხვლას უნდა ჰქონდეს აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რაც მას დიდ მოვალეობას აკისრებს. მას მინდობილი აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე — საბჭოთა ხელოვნების პროპაგანდა. ამიტომ თუ თემა არა სწორადაა შერჩეული, დადგმა არ უპასუხებს მაღალ იდეურობის მოთხოვნილებებს, ხალხურობას, ცხოველყოფლობით ოპტიმიზმს, ეს სერიოზული შეცდომა იქნება, რასაც შეუძლია ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა არარაობამდე დაიყვანოს. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროა მხოლოდ თემატიკური და სიუჟეტური ცეკვების დადგმა. არსებობს უფრო მარტივი ამოცანები, რომლების გადაწყვეტა იმდენადვე მნიშვნელოვანია მაღალ იდეურ რეპერტუარის შესაქმნელად. ხალხური ცეკვები მძლავრი ცხოველყოფილი წყაროა, საიდანაც თვითმოქმედ წრეს შეუძლია და უნდა იღებდეს მასალას თავის მუშაობისათვის. შემოქმედებითად უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი ხალხის და მოძმე რესპუბლიკების ხალხური შემოქმედების დაუშრეტელი სიმდიდრე.

## ქართული ხალხური ცეკვების დამახასიათებელი თვისებები და თავისებურებანი.

ცნობილია, რომ ქართულ ხალხურ ცეკვებს ახასიათებს: შინა-არსიანობა, სინარჩნარე, პლასტიკურობა, მოქნილობა, კეთილშობილება, თავდაპერილობა, მაგრამ ამავე დროს სილაღე, სიმკვირცხლე, სიმსუბუქე, კიდურებისა და ზეტანის მოძრაობების სრული შეთანხმებულობა.

ქართულ ცეკვის კეთილშობილურ ბუნებას სრულიად არ შეეფერება ყიყინა-ყვირილი, ზედმეტი ფუსფუსი, გარეგნული ეფექტის მისაღწევად ტემპის ხელოვნური აჩქარება, ხმალ-ხანჯლის უადგილოდ და უხეშად ხმარება, ულამაზო ხტუნვა, ფეხების ქნევა გარკვეული საილეთო ნახაზის გარეშე და სხვა ასეთი.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ქართული ხალხური ცეკვების დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული შინაარსი. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცეკვის სუჟეტის ნათლად გამოხატვას. არ უნდა დაუშვათ ქართული ხალხური ცეკვის დამახინჯება, მისი შინაარსისაგან მოწყვეტა. ქართულ ცეკვების დამახასიათებელ თვისებების და თავისებურების დაცვა-შენარჩუნება ყოველი ქორეოგრაფიული წრის ან კოლექტივის პირდაპირი მოვალეობაა.

ქართული ხალხური ძველი ცეკვებიდან ცნობილია: ქართული; დავლური, შუშპარი, სამაია, ფერხული, ხორუმი, ცერული, მხედრული, მთიულური, ხანჯლური, სახუმარო, საშაირო, მხარული. განდაგან, ლაზური, კომბლური, დოლური, მწყემსური, ზემყრელო, ოსხაპუა, წართმევეია, სათამაშო, მოხეური, აფხაზური, სალხინო, საეკენაო, ბაღდაღით ცეკვა, შავლეგო, ძაბრა, ნაბღურა და სხ.

ხალხში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ცეკვები, რომლებიც მოითხოვენ დამატებითი შესწავლა-დამუშავებას, ახალი ხერხებითა და ელემენტებით გამდიდრებას.

უდავოა, რომ ხალხურ ცეკვებში ახალი ელემენტების შეტანა ხელს შეუწყობს ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომ განვითარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი დაკვირვება და სიფრთხილე გვმართებს, რათა როგორც ძველ, ისე ახალ ცეკვებში ახალი ელემენტების შეტანამ არ წაშალოს, არ დაამახინჯოს ის, რაც ქართული ცეკვების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, არ

შეცვალოს ცეკვის თავისებურობა და ხასიათი, არ დაუკარგოს მას შინაარსიანობა.

როგორც აღვნიშნეთ ხალხში ბევრი ცეკვა არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი როდია გავრცელების ღირსი, მაგალითად „ყოლსა-მა“, „თოფალიონი“, „თამზარა“ გადაგვარებული ბეგების მიერ დამპყრობელი, ასიმილატორი თურქებისაგან გადმოღებული ჰა-რამხანული „კულტურის“ ნაშთია. ასევე „კინტოური“ და სხვა. შეიცავს ყოვლად შეუწყნარებელ უხამს მოძრაობებს. რაც შეუ-რაცსმყოფელია ქართული ხალხური ცეკვის კეთილშობილური და მაღალზნეობრივი ბუნებისა. მიუღებელი ცეკვებისაგან გადაჭრით უნდა განთავისუფლდეს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება.

ძველი ხალხური შემოქმედებიდან ხალხში ფართოდ გავრცე-ლების ღირსია ისეთი შინაარსის ცეკვები, რომლებიც გამოხატა-ვენ ჩვენი ხალხის კეთილშობილურ ხასიათს, მის სილამაზეს, გმი-რულ და მაღალზნეობრივ ბუნებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აღმზრდელობითი მნიშვნელობის ცეკვებს, რომ-ლებიც გამოხატავენ ხალხის პატრიოტულ და რევოლუციურ ტრადიციებს.

ახალი ცეკვებიდან განსაკუთრებული წახალისებისა და საბალ-ხოდ გავრცელების ღირსი არიან ისეთი ცეკვები, რომლებიც ასა-ხავენ საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შემოქმედებითი შრო-მის პროცესებს, საბჭოთა ხალხის მძლავრ აღმავლობას, რომელ-თაც აღმოაჩნდებათ ჩვენი თანამედროვე ყოფის, შრომითი სიხა-რულის, პატრიოტული გრძნობების ნათლად და მკაფიოდ გამომ-ხატველი ძალა. ახალი ცეკვა უნდა ემყარებოდეს ქართული ხალ-ხური შემოქმედების მდიდარ კულტურას, უნდა წარმოადგენდეს მის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს უნდა იყოს ფართო მასე-ბისათვის მისაწვდომი და გასაგები. ამგვარად, ქორეოგრაფიული წრის ან კოლექტივის სასწავლო და საჯარო გამოსვლების პროგრა-მაში შესაფერისი ადგილი უნდა დაეთმოს როგორც ძველ, ნამდვილ ხალხურ ცეკვებს, დახვეწილს, გაწმენდილს უცხო და უხეში ელე-მენტებისაგან, ფრთხილად და სათუთად განახლებულს ახალი ელემენტებით, აგრეთვე საბჭოთა ხალხის სოციალისტური შრო-მისა და ხალისიანი ყოფაცხოვრების მხატვრულად ამსახველ ახალ ცეკვებს.

წარსულ წლებში ჩატარებულ რესპუბლიკურ VI და VII ოლიმპიადაზე კარგად ცნობილ ძველ ცეკვებთან ერთად ნაჩვენები იყო ახალი ცეკვებიც, რომლებმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელმა ახალი ცეკვების შექმნაზე მუშაობას გულმოდგინეთ და სათანადო ყურადღებით უნდა მოეპყრას და ამ ამოცანის გადასაწყვეტად არ მიმართოს იოლ და უსწორო ხერხებს. ქართულ ხალხურ ცეკვების დამახასიათებელ თავისებურებათა დაცვა აუცილებელი მოთხოვნილებაა, რაც ყოველთვის უნდა ახსოვდეს ქორეოგრაფ-ხელმძღვანელს როგორც ძველ, აგრეთვე ახალ ცეკვების დამუშავება-დადგმის დროს.

რა არის საჭირო ახალი ცეკვის შესაქმნელად?

1. უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელ-ქორეოგრაფმა წრის აქტივთან ერთად შესაფერისი თემა დაისაზოს,
2. აღებული თემის მიხედვით შეირჩეს მუსიკალური მასალა,
3. ცეკვის კომპოზიცია გარკვეულ და მკაფიოდ გამოსახულ ნახაზზე იყოს აგებული,
4. ილეთები ცეკვის შინაარსის გახსნას ეხმარებოდნენ და ლოგიკური თანამიმდევრობით იქნან დალაგებული,
5. მოძრაობები, ილეთები, პოზები გამომეტყველი და ემოციური იყოს,
6. ცეკვის დაბოლოება ცეკვის შინაარსთან, სტილთან და ხასიათთან ორგანულად იყოს დაკავშირებული,
7. ცეკვების ხანგრძლიობაში დაცული იყოს ზომიერება,
8. ცეკვის დასაწყისი, განვითარება და დაბოლოება სავსებით შეესატყვისებოდეს მუსიკალურ თანხლებას,
9. გათვალისწინებული იქნას შემსრულებელთა ძალები, მათი მომზადება, გამოცდილება, შეთვისების უნარი და მათი ტექნიკურად მომზადების მიხედვით სწორად იქნას შერჩეული თვითეულ ნოცეკვაის ადგილი განრიგებაში,
10. ცეკვის გაფორმების მატერიალური შესაძლებლობანი (ჩაცმულობა, ხელსაწყობები).

თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეს, რომელსაც აქვს შესაფერისი გამოცდილება და გააჩნია დაოსტატებული შემსრულებელთა ჯგუფი, შეუძლია დაამუშაოს დადგმა ეგრედწოდებულ



ქორეოგრაფიულ სუიტას\* სახით, სადაც ყოველი ნაწილი ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს წინა და შემდგომ ნაწილებს, ხოლო თვით სუიტა იძლეოდეს მთლიან და გარკვეულ შინაარსზე აგებულ ნაწარმოებს.

ზოგჯერ ცეკვებს არასწორ სახელწოდებას აკუთვნებენ, მაგალითად — „საზეიმო ცეკვა“. ეს სახელწოდება რატომღაც დაერქვა ყველა იმ „ტემპერამენტულ“. ცეკვას, რომლითაც ამთავრებენ კონცერტის ან გამოსვლის პროგრამას, სადაც დაუშვებელი სიჩქარით, ურიაშლით და ყიჟინით, არაორგანიზებულად და შეუთანხმებლად მოძრაობს მრავალი მოცეკვავე. ქართული ცეკვებისათვის ეს სრულიად არ არის დამახასიათებელი, პირიქით, ეწინააღმდეგება მის ბუნებას. ამგვარი „საზეიმო ცეკვის“ დამდგმელებს ავიწყდებათ, რომ სიღინჯე, დარბაისლობა, თავდაქერილობა და შინაგანი განცდით თამაში ქართული ცეკვის მთავარი თვისებებია. ცეკვა შეიძლება ცეცხლოვანი რიტმით მიმდინარეობდეს, მაგრამ მახურებელი უნდა გრძნობდეს, რომ მოძრაობანი ერთიმეორესთან შეფარდებულია, ორგანიზებულია ქართული ცეკვის სუფთა და ნამდვილ იღეთებზე, მოძრაობათა ლოგიკა დაცულია, მოძრაობის სისხარტე, სიმარდე, სიმკვირცხლე გარკვეულ ფარგლებშია ჩაყენებული.

ცეკვის სახელწოდება თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც უნდა გამოხატავდეს ცეკვის შინაარსს, ამიტომ ცეკვის სახელწოდებისკ შერჩევა მისი შინაარსის მიხედვით უნდა ხდებოდეს.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, მხატვრული თვითმოქმედების ადგალობრივი, სარაიონო, საოლქო და რესპუბლიკური დათვალეირება-ოლიმპიადები პერიოდულად იმართება. აღნიშნული დათვალეირება-ოლიმპიადები, როგორც ვიცით, ხელს უწყობენ მშრომელთა მხატვრულ თვითმოქმედების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ ამაღლებას, მისი საუკეთესო ნიმუშების გამოვლინებას და პოპულარიზაციას. თვითეული თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრისათვის ან კოლექტივისათვის დათვალეირება-ოლიმპიადებში მონაწილეობა საპატიო საქმეა. წრისათვის იგი საჭარო გამოცდაა, შემოქმედები-

\* სუიტა—ქორეოგრაფიული ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმა, რომელშიაც ორი, სამი ან რამოდენიმე ცეკვა შეერთებულია და ერთ იდეურ ჩანაფიქრზე აგებული.

თი მუშაობის ანგარიში. დათვალიერება — ოლიმპიადაზე მაყურებელი შესაფერის შეფასებას აძლევს წრის მთლიან საქმიანობას იმ მხატვრულ პროგრამის საფუძველზე, რომლითაც წრე მაყურებლის წინაშე წარდგება. რამდენად მაღალ მხატვრულ დონეზეა და ოსტატურია შეკრულებული პროგრამის თვითთული ნომერი, რამდენად შინაარსიანად, დახვეწილად და მკაფიოდ არის გამომქლავებული დადგმის თემა, კარგად არის იგი შეფარდებული მუსიკალურ მასალასთან და სწორად არის გაფორმებული (ტანჩაცმულობა, დეკორაციები და სხვ.), იმდენად მეტ შეფასებას ღებულობს წრე და მაყურებლის მოწონებას იმსახურებს. ამიტომ, როგორც წრის ხელმძღვანელი, ისევე ყოველი წევრი გარკვეულად უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას და ცდილობდეს მუყაითი და გულდადებული შრომით მაყურებლის მოწონება დაიმსახუროს და წრეს სახელი მოუპოვოს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წარსულში ზოგიერთი წრეები (იშვიათ შემთხვევაში) იმ მიზნით რომ მაღალი შეფასება მიეღოთ, არაშესაფერის ხერხებს მიმართავდნენ: 1. წრის სახელით პროფესიულ მოცეკვავეთა გამოშვების ცდა, 2. დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად იმ მოცეკვავეთა შეკრება, რომლებსაც მოცემულ ქორეოგრაფიულ წრეში არ უმუშავნიათ და მოწვეული იყვნენ მხოლოდ „დროებით“, 3. წრის ნორმალური მეცადინეობის შეწყვეტა და მხოლოდ „რჩეულებთან“ მუშაობა მზადების მთელ პერიოდში და სხ. აი ის დამახინჯებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, თუმცა კი ძალიან იშვიათ შემთხვევებში. მომავალში სარაიონო და რესპუბლიკურ დათვალიერებებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმას უნდა მიენიჭოს, ვინც თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეში სისტემატურად და მუყაითად მუშაობს არანაკლები ერთი წლის მანძილზე მაინც. თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრემ სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში მონაწილეობის უფლება კეთილსინდისიერი და მუყაითი შრომით უნდა დაიმსახუროს.

მამასადამე: 1. ქორეოგრაფიული თვითმოქმედება მკიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან. მისი რეპერტუარი ჩვენი ხალხის ქორეოგრაფიულ მაღალ კულტურას ასახავდეს, 2. ქორეოგრაფიული წრე ან კოლექტივი სისტემატურად და გულმოდგინეთ შრომობდეს, რათა დაეუფლოს

შესრულების მაღალ ოსტატობას. ყოველი ცეკვა ან ქორეოგრაფიული ნომერი დამუშავებული იქნას მხატვრული გემოვნებით, 3. ქორეოგრაფიული წრის ზრდა ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობის მაღალი დონის საფუძველზე ხდებოდეს და 4. ძველი ხალხური ცეკვების გარდა რეპერტუარი გამდიდრებულა უნდა იქნას ასალი ცეკვებით, რომლებიც უნდა ასახავდნენ საბჭოთა ხალხის პატრიოტულ გრძნობებს, შრომის ძალას და ცხოვრების სიხალისეს.

### ქორეოგრაფიული წრის სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობა

სასწავლო მასალის თანამიმდევრობით განრიგება. პრაქტიკული გაკვეთილის სტრუქტურული სქემა. ძელთან დგომის წესები. მოსწავლეთა განლაგება გაკვეთილზე.

ქორეოგრაფიული წრის მეცადინეობა (საწვრთნო გაკვეთილები) გარკვეულ სასწავლო პროგრამის საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს, რომლის დროსაც დაცული უნდა იყოს პრინციპი: ადვილიდან — უფრო ძნელისაკენ, მარტივიდან-რთულისაკენ, ნაცნობიდან-უცნობისაკენ. ამიტომ სასწავლო პრაქტიკული მასალა განლაგებული და გავლილი უნდა იქნას შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ზოგადი მომამზადებელი ვარჯიში ძელთან და ბაქნის ფართობზე.
2. საცეკვაო ილეთების შემადგენელ ნაწილების შესწავლა.
3. საცეკვაო ილეთების შესწავლა.
4. ილეთების მარტივი და შემდეგ რთული ნაერთების შესწავლა — დამუშავება.
5. საცეკვაო ეტიუდების და ცალკეულ საცეკვაო ფრაგმენტების\* შესწავლა-დამუშავება.
6. ცეკვის შესწავლა.

სასწავლო მასალის განაწილება ქორეოგრაფიის პრაქტიკულ გაკვეთილში ქვემოთ მოყვანილ სტრუქტურულ სქემის მიხედვით ხდება.

---

\* ფრაგმენტი—ნაწარმოების ნაწყვეტი: არადასრულებული ნაწარმოები. ნაწარმოებიდან ამოღებული პატარა, მაგრამ დამახასიათებელი ნაწილი.

სრული ქორეოგრაფიული გაკვეთილის ხანგრძლიობა ჩვეულებრივად 90 წუთს უდრის, ე. ი. ორ გაერთიანებულ აკადემიურ საათს, ან 70 წუთს, ერთნახევარ აკადემიურ საათს.

გაკვეთილი ხუთი ნაწილისაგან შედგება:

I — შესავალი,

II — ზოგადი მომამზადებელი,

III — ძირითადი,

IV — დამატებითი,

V — დამამშვიდებელი.

პირველი ნაწილის ხანგრძლიობა 5 — 10 წუთს არ აღემატება და ჩვეულებრივად ძელთან ვარჯიშის სახით წარმოებს. გაკვეთილის ეს შესავალი ნაწილი მიზნად ისახავს სხეულისა და, უმთავრესად, ქვედა კიდურების „გათბობას“ და სხეულის მომზადებას ფიზიოლოგიურად უფრო მეტად დამტვირთავ ვარჯიშზე გადასასვლელად. გარდა ამისა ძელთან ვარჯიშში ისეთ მოძრაობებს შეიცავს, რომლებიც სისხლის მიმოქცევის გაძლიერების გარდა, ანვითარებენ მოვარჯიშის სხეულს, გამოიმუშავენ მასში მაღალ ერგცერებზე დგომის ჩვევას, წონასწორობის გრძნობას, აჩვენებენ ზოგიერთ შემაკავშირებელ და დამხმარე მოძრაობების სწორად შესრულებას.

რამდენად უფრო გაწვრთნილი და გამოცდილი არიან მოსწავლენი, ინდენად ძელთან ვარჯიშის ხანგრძლიობა მცირდება.

ვარჯიშების გაძლიერება-გართულება გაკვეთილის ამ ნაწილში, იაეეე როგორც გაკვეთილის სხვა ნაწილებშიაც, ხდება მოძრაობათა რაოდენობის გადიდებით, ტემპის აჩქარებით და ნაერთებში მრავალფეროვან ელემენტების შეტანით.

მეორე ნაწილის (ზოგადი მომამზადებელი) ხანგრძლიობა 10—15 წუთს უდრის, მისი მიზანია: სუნთქვის უფრო მეტად „გახსნა“, ზეტანის ელასტიურ-მოქნილ მოძრაობის გამოიმუშავება, მკლავების ნაკეთურ, მოქნილ, განიერ და მოკლე (სართავებით) მოძრაობების გამოიმუშავება; ზეტანის, კიდურებისა და თავის კოორდინირებულ მოქმედების შეთვისება და დამხმარე-შემაკავშირებელ მოძრაობათა შესწავლა ცალკეულ ელემენტების ან ნაერთების სახით. გაკვეთილის ამ ნაწილში შეეა მკლავების მოძრაობები: ორსახსროვანი, სამსახსროვანი, ხელსართავები, წრე და რკალგვარი, სწორი და ირიბი მიმართულებით. ზეტანის მოძრაობები:

ზნეკები, ზეტანის ბრუნება-ტრიალება. ფეხების მოძრაობები: სხვადასხვა დგომები, სვლებისა და სირბილის სხვადასხვა სახე. ზეტანის, მკლავებისა და ფეხების კოორდინირებული მოძრაობები მარტივი ნაერთების სახით.

მესამე ნაწილი გაკვეთილის ძირითადი ანუ მთავარი ნაწილია, მისი ხანგრძლიობა 45—50 წუთს უდრის. მიზნად ისახავს საცეკვაო ილეთების, მათი მარტივ და რთულ ნაერთების და თვით ცეკვის შესწავლას.

გაკვეთილის მესამე ნაწილში მასწავლებელი დაამუშავებს გარკვეული ერთი სახის ან სტილის მასალას. მაგალითად, დღეს მასწავლებელმა გაკვეთილის თემად აიღო „საფერხულო ილეთები“, შემდეგ გაკვეთილზე — „სამთიულურო სვლები და ჩაკვრები“ ან ცეკვა „ქართულის“ ილეთები, ცალკეული ფრაზები ან მთლიანად ცეკვა, შემდეგ გაკვეთილზე — „ხორუმის“ ილეთები და ა. შ.

მასასადამე, მოცემულ გაკვეთილის მთავარ ნაწილში დამუშავდება გათვალისწინებული თემის ძირითადი მასალა; გაკვეთილის დანარჩენი ნაწილები მთავარს ემსახურებიან.

შესაძლებელია რომელიმე თემის დამუშავებას რამოდენიმე გაკვეთილი დაჰქირდეს.

დამატებითი ნაწილი 5 — 10 წუთს მიმდინარეობს. ეს ნაწილი მიზნად ისახავს მოსწავლეებში გამძლეობის გამომუშავებას, ტექნიკურად ძნელ ილეთის დამუშავებას, ღრმა სუნთქვის „გახსნას“ ხტომის სახის ილეთებისა და მათი ნაერთების გამოყენებით. მთავარ მასალას წარმოადგენს: ხტომები და ხტომების ნაერთები, ცერილეთები და მათი ნაერთები, სხვადასხვაგვარი სწრაფი სვლა და რბენა, ბრუნები და მათი ნაერთები.

დამამშვიდებელი ნაწილის ხანგრძლიობა 5 წუთს არ აღემატება, მისი მიზანია მოსწავლეების სხეულის დამშვიდება, სუნთქვის შენელება. ამ ნაწილში შედის სუნთქვითი ვარჯიში, წელი სიარული, მკლავების მშვიდი მოძრაობა ან მშვიდი ხასიათის და ფიზიოლოგიურად ნაკლებად დამტვირთავი სახის ისეთი ცეკვები, რომლებშიც რიგრიგობით და მოკლე ხნით მონაწილეობას იღებს ერთი ან ორი მოსწავლე, დანარჩენები კი დგანან, ტაშს უკრავენ ან სიმღერა-ფილინით შემსრულებლებს ეხმარებიან.

ამგვარად, ქართული ქორეოგრაფიის გაკვეთილი სტრუქტურულად ხუთი ნაწილისაგან შედგება და ხუთივე ნაწილი ერთ ძი-

რითად მიზანს ემსახურება — წარმატებით განახორციელოს ქართულ-ხალხურ ქორეოგრაფიული ხელოვნების სწავლების პროცესი სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის, მტკიცე ფორმის, გარკვეული მეთოდისა და გეგმურ შრომის საფუძველზე.

საქიროა აღენიშნოთ, რომ ზოგად მომამზადებელ ვარჯიშთა რიცხვს ეკუთვნიან ის მოძრაობები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურად განვითარებას. უმჯობესია, რასაკვირველია, რომ ეს მოძრაობები ცოტათი თუ ბევრად საცეკვაო ილეთებს წაგავდეს, ე. ო. ამ მოძრაობებს საცეკვაო ელფერი მიეცეთ.

დამხმარე მოძრაობათა წყებას კი ისეთი ხასიათის მოძრაობები ეკუთვნიან, რომლებიც ხელს უწყობენ საცეკვაო ილეთის შესრულებაზე ადვილად გადასვლას ან უშუალოდ მონაწილეობენ მოძრაობიდან მოძრაობაზე გადასვლაში. ასეთ მოძრაობებს „შემაკავშირებელ“ მოძრაობებს უწოდებენ.

გაკვეთილის პირველი ნაწილის გარდა, დანარჩენი ოთხი ნაწილი დარბაზის (ან სავარჯიშო ფართობის) „შუაზე“ მიმდინარეობს. ცხადია, რომ ძელთან შესასრულებელი ვარჯიშები შესაძლებელია და ზოგჯერ კი აუცილებელიც „ფართობის შუაზე“ შესრულდეს.

რას წარმოადგენს სატრენაჟო ძელი?

ძელი ხის მასალისაგან მზადდება. იგი მორგვალეებულია და კრილში მისი დიამეტრი 4-5 სანტიმეტრს უდრის, ხოლო სიგრძე 2-3 მეტრს. იგი სავარჯიშო დარბაზის კედელზედაა ერთი მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალურად მჭიდროდ მიმაგრებული და მისგან 25-30 სანტიმეტრის მანძილზეა დაშორებული. მოვარჯიშენი ძელს ცალი ან ორივე ხელით ეხებიან. წესად არის მიღებული, რომ მოსწავლენი ძელთან ვარჯიშს იწყებენ ჯერ მარცხენა გვერდით შექცეულნი, შემდეგ კი იმავე ვარჯიშს იმეორებენ მარჯვენა გვერდით შექცეულნი. ზოგ შემთხვევაში მოსწავლეთა განლაგება საჭირო ხდება „სახით ძელისაკენ“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვარჯიში ცერებზე შედგომის შესასწავლად წარმოებს. ამ შემთხვევაში მოსწავლენი ძელს ორივე ხელით ეყრდნობიან. ძელთან ვარჯიშის შემდეგ მეცადინეობა (გაკვეთილის დანარჩენი დრო) „ფართობის შუაზე“ მიმდინარეობს.

ქორეოგრაფიის პრაქტიკულ გაკვეთილზე მოსწავლეთა მოხერხებულ და სწორ განრიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ

მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ისე განალაგოს მოსწავლენა-სავარჯიშო ფართობზე, რომ: 1. ვარჯიშის დროს მოსწავლენი ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს. 2. მასწავლებელი კარგად ხედავდეს ყოველ მოსწავლეს, მოსწავლენი კი—მასწავლებელს. ამისათვის საჭიროა: 1. მასწავლებელი იდგეს ამალღებულ ადგილზე, 2. მოსწავლენი განლაგებული იყვნენ „თავისუფალ მანძილზე“, ე. ი. განზე გაშლილ მკლავების მდგომარეობაში, ერთ ხაზზე მდგომნი თითებით არ შეეხებოდნენ ერთმანეთს ან 3. ჭადრაკისებურ განრიგებაში იმყოფებოდნენ, სადაც მეორე მწკრივის ყოველი მოსწავლე წინ-მდგომ მწკრივის ორი მოვარჯიშის შუალედში იმყოფებოდეს და ერთი ან ორი ნაბიჯის მანძილზე იყოს დაშორებული წინა მწკრივისაგან.

ზოგჯერ ვარჯიშის თემა მოითხოვს მოსწავლეების წრეგვარად განლაგებას, მაგალითად, შეკრულ ფერხულის სწავლების დროს ან წინსვლით წრეშემოვლისას. ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის უმჯობესია წრის შუაგულში ყოფნა. ზოგ შემთხვევაში კი საჭირო ხდება თვით მასწავლებლის მონაწილეობა, განსაკუთრებით საფერხულო განრიგებებში. აქ მასწავლებელი მოფერხულეთა შორის (მწკრივში, რიგში) და მათთან ერთად საფერხულო იღებებს ასრულებს.

როდესაც მოსწავლეთა ჯგუფი იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ დარბაზის ან სამოქმედო ბაჟნის ფართობზე მათი განრიგება „საშუალო“ ან „მჭიდრო“ მანძილზედაც კი მოუხერხებელია, საჭიროა მოსწავლეთა დაყოფა ორ ან სამ ქვეჯგუფად. ძელთან ვარჯიშის დროს (სადაც მოსწავლენი ერთიმეორისაგან ნაბიჯის მანძილზედ არიან დაშორებულნი) სასურველია თვითეულ მოსწავლეს განრიგებაში თავისი „მუდმივი“ ადგილი ჰქონდეს მიჩნეული, ხოლო „დარბაზის შუაში“ ვარჯიშის დროს — მოსწავლენი რიგრიგობით ხვდებოდნენ პირველ მწკრივში ან მწკრივი მწკრივის რიგრიგობით ცვლიდეს.

### სწავლების მეთოდი

ქორეოგრაფია პრაქტიკული დისციპლინაა, ამიტომ სწავლების მეთოდის შერჩევის დროს წრის ხელმძღვანელი გამოიყენებს როგორც ჩვენებითი, აგრეთვე თხრობითი მეთოდს, რომლებიც ისე უნდა იყვნენ ერთმანეთში შეკავშირებული, რომ ერთმანეთს ეხმებოდნენ დასახული ამოცანის უფრო ადვილად მიღწევაში.

პროგრამით გათვალისწინებულ იწლიური სასწავლო მასალა თანამიმდევრულად უნდა იქნას განაწილებული სასწავლო დროის მანძილზე. თვითეული გაკვეთილის თემა, შინაარსი ზუსტად უნდა იყოს მოხაზული და პროგრამიდან გამომდინარეობდეს, ყოველი ახალი მასალა უკვე შეთვისებულს ემყარებოდეს, გავლილ მასალის განმეორება სისტემატურად ხდებოდეს.

მოძრაობების და ილეთების პრაქტიკულად შესწავლას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მასწავლებელმა რომ მოსწავლე არა სწორად შესწავლილ მოძრაობას ან ილეთს გადააჩვიოს. დიდი დრო და ენერჯია უნდა დახარჯოს და ბევრ შემთხვევაში მისი შრომა უშედეგოდ დარჩება. ამისათვის უმჯობესია მოსწავლემ დასაწყისიდანვე მეტი დრო მოანდომოს ილეთის სწორად შესწავლას. სასწავლო მასალის აქჩარებულად გავლას უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგი მოაქვს, ამიტომ პრაქტიკულად რთული მასალის სწავლების დროს მასწავლებელმა გულმოდგინედ. აუჩქარებლად და რამოდენიმეჯერ უნდა განმარტოს და უჩვენოს მოსწავლეს მოცემული მოძრაობა ან ილეთი და მოთხოვოს მისი სწორად შესრულება. განმეორებითი ჩვენებისათვის ხელმძღვანელმა დამხმარედ შეიძლება მოიშველოს საუკეთესო მოცეკვავე, წრის ძველი წევრთაგანი, რომელსაც კარგად აქვს შეთვისებული საპროგრამო მასალა; ხელმძღვანელის დახმარება მას წაახალისებს.

ქორეოგრაფიული წრის ძველ წევრებთან, რომლებსაც პრაქტიკული საპროგრამო მასალა საკმარისად კარგად აქვთ შესწავლილი და შესათერისი გამოცდილებით არიან აღჭურვილნი, მეცადინარეობა უნდა მიმდინარეობდეს საცეკვაო რთული ნაერთებსა და ეტიუდებზე იმ მოცულობით, რაც შეესაბამება სარეპერტუარო პროგრამით გათვალისწინებულ ცეკვებს.

ქორეოგრაფიული წრის ახლად დამწყებ წევრებთან მუშაობის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სწავლების ანალიზური მეთოდის გამოყენებით წრის ხელმძღვანელს უფრო ადრე, ადვილად და მაღალხარისხოვნად შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგებს.

რას წარმოადგენს ანალიზური მეთოდი?

ყოველი ახალი ილეთი დაიშლება შემადგენელ ნაწილებათ (მდგომარეობებათ, მოძრაობებათ).; ხელმძღვანელი თანამიმდევრობის მიხედვით ახსნის და განმარტავს ჯერ პირველ ნაწილს, შემ-



დევ მეორეს, მესამეს და ა. შ. როდესაც ილეთის შემადგენელი ყველა ნაწილი შემსრულებლის მიერ გაგებული და შეთვისებულია, ხდება შემადგენელ ნაწილების ერთად შეკვრა-შეკავშირება.

მაგალითად, საჭიროა საცეკვაო ილეთის „სადა ჩაკერის“ შესწავლა (მთიულური ცეკვის ელემენტია). დავყოთ იგი შემადგენელ მოძრაობებათ. თვლაზე „ერთი“ — პირველ პოზიციიდან მარჯვენა ფეხი აიწევა ზევით, მუხლის სახსარში მოღუნვით (ტერფი იატაკის პარალელურია) და შემდეგ მუხლის სახსარში გამართვით ქუსლით იატაკზე დაიდგმება მარცხენა ფეხის ცერთან (მარჯვენა ფეხის ცერი ამ დროს მიმართულია ზევით).

თვლაზე „ორი“ — მარჯვენა ფეხი მუხლის სახსარში მოღუნვით ხელახლად ზევით აიწევა (ცერი იატაკისკენაა მიმართული) და ცერით იატაკზე დაიდგმება იმ ადგილას, სადაც მანამდე მარჯვენა ფეხი ქუსლით იატაკს ეხებოდა. ამ დროს მარჯვენა ფეხი მუხლში მოღუნულია, ქუსლი ზეაწეული და ტერფით უკან მიმართული. აღწერილი მოძრაობა შეისწავლება ამნაირადვე მარცხენა ფეხითაც. როდესაც ამ ილეთის შემადგენელი ნაწილები კარგად იქნება გაგებული და შესწავლილი, პირველ და მეორე მოძრაობას შევეერთებთ საყრდენ ფეხზე ოდნავი ზეხტომის დამატებით ფეხის მუხლში მოღუნვის წინ (როგორც პირველ, აგრეთვე მეორე სათვალავზე). ილეთის შესასრულებლად მეორე მხარეზე ერთი ფეხიდან მეორე ფეხზე გადასვლა ხდება ოდნავი ზეხტომის საშუალებით. ილეთის შემადგენელ ნაწილების შესწავლა წარმოებს ნელ ტემპში, შემდეგ კი მასწავლებელს შეუძლია მოთხოვოს მოსწავლეს ილეთის შესრულება ტემპის სასურველ სიჩქარით.

ანალიზური მეთოდით მოძრაობათა შესწავლა გამოიყენება აგრეთვე გამოცდილ შემსრულებლებთან მეცადინეობის დროსაც ახალი ილეთების შესწავლის პროცესში. ცხადია, ანალიზური მეთოდი გამოიყენება არა მარტო ფეხების, არამედ მკლავებისა და ზეტანის მოძრაობების შესწავლის დროსაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წრის ხელმძღვანელი ცალკე ილეთების სწავლების შემდეგ გადადის ჯერ მარტივ ნაერთებისა და შემდეგ რთულ ნაერთების სწავლებაზე. ნაერთი შეიძლება ორ, სამ, ოთხ და მეტ ილეთისაგან ან მოძრაობისაგან შედგებოდეს. მარტივი ნაერთი ადვილი და მცირე რაოდენობის ილეთებისაგან შედგება, რთული ნაერთი კი — შედარებით ძნელად შესასრულებელ და დიდი რაოდენობის ილეთებისაგან.

ნაერთების შერჩევა-შედგენის დროს საჭიროა შემდეგით ვი-  
ხელმძღვანელოთ:

1. ნაერთის შედგენამდე მოსწავლეებს თვითიული ცალკე ილეთი კარგად უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

2. ილეთიდან ილეთზე გადასასვლელად რაც შეიძლება ადვილი და მოხერხებული მოძრაობა გამოვიყენოთ.

3. რამოდენიმე ილეთისაგან შედგენილი ნაერთი რამოდენიმე-ჯერ უნდა განმეორდეს და ილეთთა განრიგება რიგრიგობით იცვლებოდეს.

4. რაოდენობის მხრივ გართულებულ ახალ ნაერთში ძველი ნაერთის ერთი ან რამოდენიმე ილეთი უნდა იყოს შეტანილი.

მოგვეყავს ილეთთა ნაერთების შედგენის ერთ-ერთი მაგალითი, სადაც ილეთების სახელწოდების მაგიერ ასოებს ვხმარობთ.

1. ა
2. ბ
3. ა+ბ
4. ბ+ა
5. გ
6. ა+გ ან ბ+გ
7. ა+ბ+გ
8. დ
9. გ+დ
10. ა+ბ+გ+დ
11. დ+ა+ბ+გ
12. ე
13. ბ+გ+დ+ე
14. ა+ბ+გ+დ+ე
15. ვ
16. ბ+დ+ე+ვ
17. ზ
18. დ+ე+ვ+ზ
19. ე+ვ+ზ+ე
20. თ

21. ე+ვ+ზ+თ
22. ო
23. ო+ზ+თ+ი
24. დ+ე+ვ+ზ+თ+ი
25. კ
26. კ+ე+ვ+ზ+თ+ი და ა. შ.

აქედან ვხედავთ, რომ შემსრულებელმა ერთი ილეთი „ა“ შეისწავლა, შემდეგ მეორე — „ბ“, მესამეჯერად მან ორივე ილეთი გადაბმულად შეასრულა — „ა+ბ“, მეოთხეჯერად — ორი ილეთი შებრუნებულად შეასრულა — „ბ+ა“, მეხუთეჯერად შეისწავლა ახალი ილეთი „გ“, მეექვსეჯერად მან პირველი და მესამე ან მეორე და მესამე ილეთი გადაბმულად შეასრულა — „ა+გ“ ან „ბ+გ“, მეშვიდეჯერ სამივე ილეთი ერთიმეორეზე გადააბა და ა. შ.

ცხადია, ილეთთა შერჩევა და ნაერთებად შეკვრა მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ფიზიკურ ძალის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ილეთთა ნაერთის შერჩევა-შეკრებაში მასწავლებელმა განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვება უნდა გამოიჩინოს, ერიდოს მოსწავლეთა ფიზიკურად გადატვირთვას.

როდესაც შემსრულებლები რთულ ნაერთებს დაეუფლებიან, შესაძლებელი გახდება ცალკეულ საცეკვაო ფრაგმენტების, ეტიუდების\* და შემდეგ თვით ცეკვების სწავლებაზე გადასვლა.

ცეკვის შესწავლაც დანაწილებით უნდა ხდებოდეს. ხელმძღვანელი აუხსნის შემსრულებლებს ჯერ ცეკვის შინაარსს, მის კვალითი ნახაზს, შემდეგ 4—8 ტაქტს, ქორეოგრაფიული ფრაზის შემადგენელი ყველა ილეთის განმარტებით, ახსნილ ქორეოგრაფიულ ფრაზას რამოდენიმეჯერ გაამეორებინებს და დარწმუნდება რა იმაში, რომ მოცემული ფრაზა გაგებულია და კარგად შეთვისებული, ახალი ფრაზის ახსნა-განმარტებაზე გადავა. შემდეგ მეორე ფრაზას პირველს შეურთებს და ასე თანდათანობით ცეკვის მთლიანი ნახაზის დასრულებამდე. ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ცეკვის ელემენტების ტექნიკურად დაუფლებასთან ერთად მიღწეული იქნას შინაარსის მხატვრული გამომსახვე-

\* ეტიუდი—მუსიკალური ან ქორეოგრაფიული ნაწარმოები გარკვეული ფორმისა და შინაარსის საფუძველზე შესრულების ტექნიკის გასანვითარებლად.

ლობა, ემოციურობა და შესრულების სრული სისუფთავე-სიმსუბუქე.

სააწვლო პროგრამისა და სამეცადინო ცხრილის შედგენის დროს წრის ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს: წევრთა ასაკი და სქესი, ჯგუფებისა და მათში ჩაბმული წევრთა რიცხვი, ბაქნის ფართობი, მეცადინეობის ჩატარების დრო (წლის რომელ დროში ტარდება მეცადინეობა), ბაქნის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება, მასალის შეთვისების უნარი, გამოცდილება (ძველი წევრების). ხელმძღვანელმა მხედველობაში უნდა იქონიოს ისიც, რომ ძველ წევრთა შორის შეიძლება იყვნენ ჩამორჩენილები; ასეთ წევრებთან სამეცადინოდ აუცილებელი საჭიროა დამატებითი საათების გამოყოფა.

ხშირად ხდება, რომ ახლად მიღებული წევრებიდან ზოგიერთნი სწავლის პირველ პერიოდში არასაკმარისს უნარს იჩენენ მასალის შესწავლა-შეთვისებაში, მათი მოძრაობები შეზღუდულია, უხეში, ისინი ადვილად იბნევიან, მორცხობენ. მაგრამ გაივლის დრო და სურათი შეიცვლება. ჩამორჩენილები ეწევიან წინ წასულებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, წინუსწრებენ კიდევაც. წრის ხელმძღვანელს მოეთხოვება გამოიჩინოს სიფრთხილე, დაკვირვება, მოთმინება, გულისხმიერება და ენერგია, რათა ჩამორჩენილებთან მუშაობაში წარმატებას მიაღწიოს. მასშალადმე, თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის როგორც ახალ, ისევე ძველ წევრებთან მუშაობა მოითხოვს მასწავლებლისაგან თვითეული მოსწავლის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობის შესწავლას და შესაფერის პედაგოგიურ მიდგომას.

წრის წევრების ჯგუფებად დაყოფის დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული მათი სქესი და ასაკი. თავისთავად ცხადია, წრე ქალ-ვაჟებისაგან უნდა შედგებოდეს. ახლად მოწყობილ წრეში მეცადინეობა უნდა წარმოებდეს (ყოველ შემთხვევაში პირვე ხანს) ქალების ცალკე, ვაჟების ცალკე. ხოლო როდესაც ისწავლება საერთო ხასიათის (ქალ-ვაჟისათვის) საცეკვაო ილეთები, შესაძლებელია ქალ-ვაჟთა ერთად მეცადინეობა ცეკვის ხასიათის მიხედვით (სადაც საჭიროა — ერთად და სადაც საჭიროა — ცალკე).

ხელმძღვანელი კარგად უნდა იყოს გარკვეული ქართულ ქორეოგრაფიაში მიღებული ძირითად და დამხმარე პოზიციებში (როგორც მკლავებისათვის, ისე ფეხებისათვის).

ცეკვის დროს ფეხები და მკლავები მრავალ სხვადასხვა მდგომარეობაში შეიძლება მიყოფებოდნენ, მაგრამ ძირითად პოზიციებად მიღებულია მხოლოდ რამდენიმე მათგანი, საიდანაც უფრო ადვილად მოსახერხებელია მოძრაობა, ქართული ცეკვების უმრავლესობაში იხმარება და მათი დასახელება ადვილებს საერთოდ მდგომარეობებში ორიენტირებას.

ზემოთქმულის თვალსაზრისის საფუძველზე ქართულ ქორეოგრაფიაში ძირითად პოზიციებად მიღებულია ფეხებისათვის ოთხი პოზიცია და ამდენივე მკლავებისათვის.

მკლავებისათვის პოზიციები: 1-ლი — განვაშლილი, მე-2 — ცალმკლავ დახურული, მე-3 — ღია და მე-4 — მაღალი ან „ირმული“.

ფეხებისათვის პოზიციები: 1-ლი — შეტყუებული, მე-2 — წინფეხშლილი, მე-3 — ტერფშლილი და მე-4 — ფეხშლილი.

მკლავების პოზიციებში ნების მიმართულების შეცვლა ან ხელის თითების მომუქვა-გაშლა პოზიციის დასახელებას არ ცვლის. არ იცვლება მკლავების პოზიციების ძირითადი დასახელება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მკლავები ოდნავ მოცილდებიან თავის ძირითად მდგომარეობას ზეაწევით, ქვედაწევით, წინ და უკან წაწევით და სხვ., მხოლოდ მათ დასახელებას ემატება ძირითად მდგომარეობიდან განსხვავებული მიმართულების მაჩვენებელი განმარტებითი სიტყვა, მაგალითად, „ოდნავ ზევით“, „ოდნავ ქვევით“, „ნახევრად დახურულად“. „შიგნით“, „გარეთ“ და სხვ. ფეხების ძირითადი პოზიციების დასახელება აგრეთვე არ შეიცვლება იმისდა მიუხედავად ენებიან ფეხები იატაკს მთელი ტერფით თუ ერგცერებით ან ცერებით, მაგალითად. შესწარულებელი დგას პირველ პოზიციაში მთელ ტერფებზე და შემდეგ ის ნახევარცერებზე აიწევა, ამ მდგომარეობას ისევ პირველი პოზიცია ეწოდება, მხოლოდ ემატება განმარტებითი სიტყვა — „ერგცერებზე“. ამრიგად, ეს მდგომარეობა დასახელებული იქნება როგორც — „პირველი პოზიცია ერგცერებზე“ და ა. შ.

მეცადინეობის პროცესში ხელმძღვანელი იყენებს შენიშვნებს, როგორც სწავლების ერთ-ერთ დამხმარე ხერხს.

შენიშვნები არის სხვადასხვა სახის, სახელობრ: გამაფრთხილებელი, მოძრაობის პროცესში და ინდივიდუალური.

გამაფრთხილებელი შენიშვნები — საერთო მითითებებია, რომლებიც წინ უძღვის ანალ ან უკვე გავლილ, მაგრამ არა ზუსტად შეთვისებულ მოძრაობებს. ახალი მოძრაობების შესრულებამდე ხელმძღვანელი აფრთხილებს შემსრულებლებს ამა თუ იმ შესაძლებელ შეცდომის დაშვების შესახებ, რაც მათ წინასწარ უნდა გაითვალისწინონ. გამაფრთხილებელ შენიშვნებს პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვთ და მათი გამოყენება ხელს უწყობს მუშაობის წარმატებით ჩატარებას.

მოძრაობის პროცესში შენიშვნები მიეცემა ამა თუ იმ მოსწავლეს (შემსრულებელს) ან მთელ ჯგუფს მოძრაობის შეუჩერებლად (მფრინავი შენიშვნები).

ინდივიდუალური შენიშვნები ყველაზე უფრო გავრცელებულია და ხშირად გამოიყენება. თვითეულ მოსწავლეს ცალ-ცალკე განუმარტავენ მის შეცდომებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებს.

ინდივიდუალური შენიშვნები ფრთხილი, შინაარსიანი და კონკრეტული უნდა იყოს.

შენიშვნები უნდა წარმოითქვას მშვიდად, აუჩქარებლივ და გარკვეულად.

ხელმძღვანელმა შემსრულებლებს უნდა განუმარტოს, რომ გაკვეთილზე შენიშვნები კეთდება მასალის უკეთ შესწავლა-შეთვისების მიზნით და საწყენად ან სათაკილოდ არ უნდა იქნას მიღებული.

მეცადინეობის დროს სწორი სუნთქვის შემუშავება-დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არაერთხელ შეგვიმჩინევია, რომ მოცეკვავე (განსაკუთრებით ვაჟი) ცეკვის პირველ ნახევარს მსუბუქად, ენერგიულად, თავისუფლად და გარკვეულად ასრულებს, ხოლო შემდეგ თანდათანობით ძალა ელევა, მოდუნება ეტყობა და ცეკვას ძლივს ამთავრებს. ეს ბევრ შემთხვევაში შედეგია: უსწორო სუნთქვისა, არასისტემატური ვარჯიშობისა და საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობისათვის ანგარიშის გაუწევლობისა. ცეკვის წარმატებით შესრულება დიდად არის დამოკიდებული სწორ სუნთქვასა და ცეკვის ხანგრძლიობის ზომიერებაზე.

ქორეოგრაფიულ წრეში ან კოლექტივში როგორც სასწავლო და მხატვრულის, ისე ორგანიზაციული მუშაობის ზუსტი აღრიცხვა უნდა ხდებოდეს. სწორად დაყენებული და მუყაითად წარმოებული აღრიცხვა საშუალებას აძლევს წრის ხელმძღვანელს თავის დროზედ სათანადო დასკვნები გამოიტანოს და შემდგომ მუშაობაში შესაფერისი და საქმისათვის სასარგებლო შესწორებები და ცვლილებები შეიტანოს. მუშაობის სააღრიცხვო დღიური — წრის მუშაობის სარკვა.

სახის მეტყველების, თავის, ზეტანისა და ფეხების კოორდინირებული მოძრაობების შესახებ

ცეკვაში ტექნიკა მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. მოძრაობათა საშუალებით ცეკვაში ადამიანი გადმოგეცემს თავის გრძნობებს, განცდებს, ემოციებს. ცეკვის დროს გარეგნული მდგომარეობა შინაგან განწყობილებასთან ორგანულ კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ამიტომ სწავლების პროცესში საჭიროა ყურადღება მიექცეს არა მარტო ტექნიკურ ელემენტების დამუშავებას, არამედ ავითეულ ილეთის, ილეთთა ნაერთების და თვით ცეკვის ემოციურად და გამომეტყველებით შესრულებას.

თავი ცეკვაში მნიშვნელოვან პლასტიკურ როლს თამაშობს. როგორც მკლავები, ასევე თავიც გამომეტყველების არსებითი ფაქტორია. თავის მოძრაობა მკლავების, ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ყოველთვის ურთიერთ კავშირში უნდა იმყოფებოდეს. ადამიანის სხეულის ნაწილების კოორდინირებულად მოძრაობის გარეშე შეუძლებელია ცეკვის გამომეტყველური შესრულება. ამიტომ ცეკვის დროს თავის მოხდენილი და შესაფერისი მდგომარეობა — მოძრაობის გამოძებნა აუცილებელი ამოცანაა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვაში აგრეთვე სახის გამომეტყველებასაც და რამდენად ჰკარგავს ღირებულებას თუნდაც ტექნიკურად კარგად შესრულებული ცეკვა, როდესაც შემსრულებლის თვალები, როგორც იტყვიან „გულის სარკე“, და საერთოდ სახე უმეტყველოა. სახე, რომელიც ცეკვის შესრულების დროს არამეტყველია, „მკვდარია“ და მკლავების, ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად არ ცოცხლობს, თვით ცეკვას აღუნებს, უკარგავს ეშხს და ელფერს და

ამით უსპობს მაყურებელს ცეკვის მთლიანად შეგრძნების საშუალებას. მიმიკა, თვალების გამომეტყველება ცეკვის შინაარსის განცდის საფუძველზე უნდა დაიბადოს. ამიტომ საჭიროა მოსწავლემ ცეკვის სწავლების დასაწყისიდანვე შეითვისოს, რომ სახის მეტყველების, თავის, მკლავების, ზეტანის, ფეხების კოორდინირებული მოძრაობის და მოძრაობების შინაგან განწყობილებასთან კავშირის გარეშე ცეკვა არ შეიძლება იყოს სრულყოფილი.

### მკლავების მდგომარეობა-მოძრაობანი

ცეკვაში მკლავების მოძრაობები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მათი მოქმედება არ განისაზღვრება მარტო ამოცანის ტექნიკურად გადაწყვეტაში მონაწილეობით, არამედ აქტიურ მოძრაობით პლასტიკურ ფუნქციებს ახორციელებენ და ცეკვის მოხაზულობას აფეროვნებენ და ამეტყველებენ.

ქართულ ქორეოგრაფიაში ვაყების ცეკვები იმდენად მდიდარი არ არის მკლავების მოძრაობებით, რამდენადაც ქალების. ეს საფასებით ბუნებრივია, რადგან ვაყებს უფრო „თავისუფალი“ აქვთ ქვედა კიდურები ტანსაცმელისაგან, ქალებს კი ზედა კიდურები. ქალი მრავალნაირად ქარგავს მკლავების მოძრაობებს, ამეტყველებს ხელის თითებს, ამოძრავებს მხარსა და წინამხარს, ვაჟი, კი ნაირფეროვნებით მოქმედებს ფეხებით და ფეხის ცერებით.

ცხადია, რომ წარსულში ცეკვის ხასიათისა და მოძრაობათა შექმნაში სხვა პირობების გარდა, ეროვნულ ჩაცმულობას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა. რამდენადაც თავისუფალი იყო კიდურები ტანსაცმელისაგან, იმდენად ფართო და თავისუფალი მოძრაობები იქმნებოდა. ქართველი ქალის ქვედა კიდურები შეზღუდული იყო ტანსაცმელით (გრძელი კაბით) ვაჟის კი — პირიქით, თავისუფალი; ქალის ზედა კიდურები ტანსაცმელისაგან თავისუფალი, ვაჟის კი შეზღუდული გრძელი სახელოებით.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ: 1. მთიულური სახის (სწრაფი რიტმის) ცეკვებში ქალის მკლავების მოძრაობა ნაირფეროვნებით წინ არ უსწრებს ვაჟის მკლავების მოძრაობას, 2. ბევრ შემთხვევაში ქალის მკლავებისა და ფეხების მოძრაობა ვაჟის მოძრაობებს ჰგავს, თუმცა უფრო რბილად და ნარნარად სრულდება.



ზოგიერთ სახის ცეკვებში ვაჟის მკლავები მთლიანად დაფარულია ჩოხის სახელოებით.

მკლავების მოძრაობა შესაძლებელია წარმოებდეს ერთი და იმავე მიმართულებით (ტოლმხრივად), სხვადასხვა მიმართულებით (ნაირმხრივად), ერთდროულად, ნაირდროულად, თანამიმდევრობით (მიმყოლად), შიგ, გარე, ქვე, წიშ. ოპან, მარჯვნივ ან მარცხნივ მოძრაობით, წრეგვარ, რკალგვარ ან ნარა-გაშლითი მოხერხებით, ხელსართავეებით ან უიმისოდ. ამავე დროს მკლავების მოძრაობა შეიძლება წარმოებდეს ცალკე ან ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად, კოორდინირებულად. ცეკვებში მკლავების მოძრაობას ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან შეთანხმებულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა და ცეკვის სტილის გამოკვეთაში სწორედ ამას ენიჭება მთავარი როლი. გარდა ამისა მკლავების სწორედ კოორდინირებული მოძრაობა დიდად ხელს უწყობს და ეხმარება ზეტანისა და ფეხების მოქმედებას და საერთოდ ძნელი ილეთის ტექნიკურად დაძლევის პროცესს. მაგალითად, ბევრად ადვილდება სხვადასხვა სახის ბრუნის შესრულება მკლავების დროულად გადაქნევით ბრუნის მხარეს, რადგან ეს აძლიერებს ზეტანის მოქნევის სიმძლავრეს, ან ზებტომის დროს მკლავების ქვევიდან ზევით აქნევა არეკნის მომენტს ერთიორად აძლიერებს და თვით ფრენს სიმაღლეს ჰმატებს.

ქალები და ვაჟებიც ცეკვაში მკლავების მოძრაობის დროს ხშირად ხელსართავეებს ხმარობენ. ხელსართავეები ეწოდება ხელის (ნეტენის) წრისებურ ან რკალისებურ მოძრაობას მაჯის სახსარში.

ქალთა ცეკვებში „სართავეებს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, აგრეთვე მკლავების სამსახსროვან მოძრაობას (მხრის, ნიდაყვის და მაჯის სახსრებში.) წრისებრი და რკალისებრი მოძრაობანი მთელი მკლავით „განიერ მოძრაობებად“ არიან ცნობილი, ხოლო სართავეები — „წვრილ მოძრაობებად“. ხელსართავეები თავისუფლად და მთელი ამპლიტუდით სრულდება. ვაჟები ხელსართავეებს ოღნავ მომუქული თითებით ასრულებენ, ქალები კი გაშლილი ნებით და თავისუფალი თითებით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მკლავების, ზეტანისა და ფეხების სწორად კოორდინირებულ მოძრაობათა გარეშე შეუძლებელია არა მარტო რთული, არამედ მარტივი ილეთების სწორად, მსუბუქად და ლამაზად შესრულება. მოძრაობათა ემოციური ზე-

მოქმედება მაყურებელზე მაშინ შეიძლება იყოს სრულყოფილი, როდესაც ზეტანისა და კიდურების მოქმედება ცეკვის შინაარსთან ორგანულად არის შეფარდებული და მსუბუქად და შეთანხმებულად სრულდება.

### საცეკვაო ბაქნის (მოედნის) და გეგმვა

ცეკვის საჯაროდ ჩვენება ან საწვრთნო მეცადინეობა შესაძლებელია მიმდინარეობდეს როგორც დახურულ შენობაში (დარბაზი, სცენა, ოთახი), აგრეთვე გარეთ (სტადიონი, მიწდორი, კალო, სასპორტო ბაქანი და სხვ.).

საცეკვაო ბაქანი შეიძლება სხვადასხვა მოხაზულობის ან ფორმის იყოს: ოთხკუთხედი, სადაც მაყურებელი ცალ მხარეზეა, ნახევარი წრისგვარი ან ნახევრად ოვალური — მაყურებელი ბაქნის წინა ხაზის პარალელურად იმყოფება და წრეგვარი ფორმის, სადაც მაყურებელი ირგვლივ არის.

რა მოხაზულობისაც არ უნდა იყოს საცეკვაო ბაქანი, მოცეკვავე — შენსრულებლისათვის საჭიროა საორიენტაციო წერტების ცოდნა, მაგალითად, სცენაზე: ავანსცენა, არიერსცენა, მარჯვენა კულისები, მარცხენა კულისები; ბაქანზე, რომელსაც ნახევარწრისებრი ფორმა აქვს: ბაქნის ცენტრი, მაყურებლის მხარე, მარჯვენა და მარცხენა მხარეები; სტადიონზე ან მოედანზე, სადაც მაყურებელი ირგვლივაა: სამოქმედო მოედნის ცენტრი, გამოსასვლელი ადგილები და მაყურებლის რომელიმე ერთი მხარე, რა მიმართულებითაც ცეკვა უნდა სრულდებოდეს.

საცეკვაო ბაქნის დაგეგმვა პირობითი საორიენტაციო ხაზებით და წერტებით გარკვეულ ამოცანას ემსახურება და შემდეგში მდგომარეობს:

1. გაუადვილოს მასწავლებელს პირობითი ხაზებისა და წერტების დასახელებით გათვალისწინებულ ამოცანის ზუსტათ გადაცემა.


2. შემსრულებელს გაუადვილოს მასწავლებლის ნაკარნახევ ამოცანის გაგება-შესრულება, რომელიც შეეხება ბაქანზე დანიშნულ ადგილის სწრაფად მოძებნას, მიმართულების აღებას ან შეცვლას, სვლის ნაერთების შესრულებას, ადგილიდან-ადგილზე გადასვლას და სხვ.

3. გაუადვილოს ცეკვის ჩაწერა და ჩაწერილის წაკითხვა როგორც მასწავლებელს, აგრეთვე მოსწავლეს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საცეკვაო ბაქნის დაგეგმვა ქვე-  
მომოყვანილ ნახაზების მიხედვით და ვგულისხმობთ, რომ იგი  
გამოსადეგი იქნება ყველა პირობებში, ე. ი. დამოუკიდებლად ინისა,  
თუ რა მოხაზულობის იქნება ბაქანი: ოთხკუთხედი, ოვალური,  
წრისებური თუ სხვა.

გავერკვიოთ ქვემომოყვანილ ნახაზებში.

ავილოთ პირველი ნახაზი დანომრილი „I“ ნიშნით.



მ ა ყ უ რ ე ბ ე დ ი

პირველ ნახაზზე ვხედავთ სწორ ოთხკუთხედს (კვადრატს) შიგ ჩახაზული წრით, რომელიც თავის საზღვრებით კვადრატის ოთხივე მხარეს ეხება (წერტ. 1. 3, 5, 7), წრის ცენტრი აღნიშნულია „ც“ ასოთი, ცენტრიდან გაყვანილია 8 რადიუსი (ც1, ც2, ც3, ც4, ც5, ც6, ც 7, ც8), რომლებიც ერთიმეორისაგან 45°-ით არიან დაშორებული. რადიუსები — ც1, ც3 ც5 და ც7 კვადრატის თვითველ გვერდის შუა ადგილს ეხებიან; რადიუსები ც2, ც4, ც6 და ც8 გადაჭრიან რა წრის ხაზს, მიემართებიან კვადრატის კუთხეებისაკენ.

მაყურებელი ნახაზზე აღნიშნულია „2ა“, „1“ და „8ა“ ხაზის პარალელურად, ე. ი. ერთ მხარეს.

მაშასადამე, ზემომოყვანილი ნახაზი წარმოადგენს კვადრატს შიგ ჩახაზული წრით, რომლის ცენტრიდანაც სხივებისებურად 8 რადიუსი მიდის. ამ 8 რადიუსისაგან 4 გადაჭრის წრის საზღვრებს (წყვეტ. ხაზ.) და კვადრატის კუთხეებს ეხება (ეს რადიუსები, გაგრძელებულნი წრის ხაზის გადაცილებით, აღინიშნებიან იმავე ციფრებით, ხოლო ასო „ა“-ს მიმატებით).


თვითველ რადიუსს თავისი დასახელება აქვს: ც1, ც2, ც3, ც4, ც5, ც6, ც7, ც8.

საკვიროა მოსწავლემ ან შემსრულებელმა დაიმანსოვროს, რომ წერტები „ც“ და „1“ ყოველთვის უცვლელია მაყურებლის მხარის მიხედვით, ე. ი. რადიუსი „ც-1“ ყოველთვის მიმართულია მაყურებლის ხაზის შუა ადგილისკენ.

ავილოთ მეორე შემთხვევა (ნახ. II), როდესაც სამოქმედო ბაქანი წარმოადგენს ოთხკუთხედს, რომლის სიგანე უფრო დიდია სიღრმეზე და მაყურებელი ერთ მხარეზეა „2ა“, „1“ და „8ა“ ხაზის პარალელურად. ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ ბაქნის ცენტრში ჩახაზული წრე ბაქნის მხოლოდ ორ საზღვარს ეხება (წერტ. „1“ და „5“-ში), დანარჩენი ექვსი რადიუსი კი გადაჭრის წრეს და ბაქნის საზღვრებს უერთდება. რადიუსების ნუმერაცია იგივე რჩება. მაშასადამე, შემსრულებლისათვის აქ ახალი არაფერია, საორიენტურო წერტები დარჩა იგივე.

რაც შეეხება წრეზე მოძრაობის მიმართულების დასახელებას, აქ პირობითად უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ თუ შემსრულებელს წრეშემოვლის დროს მარცხენა მხარე ცენტრისკენ აქვს მიმართული, მოძრაობას „მარცხნივ“ მოძრაობა უწოდოთ, თუ პირი-

ქით, მოძრაობის დროს ცენტრისკენ მარჯვენა მხარითაა მიმართული — „მარჯენივ“ მოძრაობა უწოდოთ, ე. ი. მოძრაობა 1, 8, 7, 6,




მ ა ყ უ რ ე ბ ე დ ი

ნახ. II

5, 4, 3, 2 წერტების თანამიმდევრობით გავლით იქნება — მარცხნივ წრეშემოვლა, ხოლო 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 წერტების გავლით — მარჯენივ წრეშემოვლა. მარჯენივ ან მარცხნივ წრეშემოვლა როგორც დიდ წრეზე, აგრეთვე მცირეზედაც ამ პრინციპს ექვემდებარება.

ავიღოთ მესამე შემთხვევა (ნახ. III), ბაქანი ნახევარწრისებრ ფართობს წარმოადგენს და სწორი გვერდით მაყურებლისკენაა მიმართული (ბევრ შემთხვევაში ასეთი მოხაზულობის არის საეს-

ტრადო ბაქნები — „რაკოვინები“). ნახაზიდან ჩანს, რომ ბაქნის ცენტრიდან შემოხაზული წრე ბაქნის ორ მხარეს ეხება, სახელ-



მ ა ყ უ რ ე ბ ე დ ე


ნ.ხ. III

დობრ: წინა სწორი ხაზის შუა ადგილს და ბაქნის სიღრმეში ოვალურ ხაზის შუა ადგილს.

ამ ნახაზში ახალ წერტებს ვერ ვხედავთ, გარდა იმისა, რომ რადიუსების „ც3“ და „ც7“ გაგრძელება უფრო დიდია, ვიდრე „ც2, ც3, ც4, ც6“-სა. მაშასადამე, პირველ და მეორე მაგალითებში მოყვანილი საორიენტაციო წერტები დიდად არ განსხვავდებიან ოვალური სახის ფართობის საორიენტაციო წერტებისაგან.

რაც შეეხება შეიოთხე მაგალითს (ნახ. IV), სადაც მოცემულია ნახევრადოვალურ მოხაზულობის ბაქანი, რომლის ოვალური მხარე ნაპურებლისკენაა მიმართული (იშუიათ შემთხვევაში), აქაც


საორიენტრო წერტები საესებით იგივე რჩება, როგორც წინ აღწერილ შემთხვევაში.



ნ.ბ.4 17

ვიდრე დასკვნამდე მივიდოდეთ, განვიხილოთ უკანასკნელი, მეხუთე შემთხვევა (ნახ. V). ჩვენ გვაქვს მაგალითი, რომლის დროსაც მაყურებელი მოთავსებულია წრის ფართობის ირგვლივ. აქ ჩვენთვის ყველაფერი გასაგებია, რადგან წრის ფართობი ისევეა დაგეგმილი, როგორც წინა ნახაზებში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დადგინოთ იქნას საორიენტრო ნიშნების „ც“ და „1“-ის ადგილი, ე. ი. გამოარკვეს, თუ რომელ მხარისკენ უნდა მივცეთ მოქმედებას „პირითი მიმართულება“. ზშირად ეს იმაზე და მოკიდებული, თუ რომელ მხარეზე არის ბაქანზე გამოსასვლელი ადგილი, ან სად იმყოფება მთავარი ტრიბუნა, მთავარია დავადგინოთ მიმართულება „5“-დან „1“-სკენ, ყველა დანარჩენი წერტები თავისთავად განრიგდებიან ზემომოყვანილ დაგეგმვის პრინციპის შესაბამისად.

მაშასადამე, ხუთივე შემთხვევაში საორიენტაციო წერტები: ცენტრი, რადიუსები, დიდი წრე ერთნაირად არის დანომრილი. ამ




ახ. V

წერტების დასახელებისა და ნუმერაციის დამახსოვრება შემსრულებლისათვის არავითარ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს.

გადავხედოთ ქვემოთმოყვანილ „VI“ სურათს, ეს სურათი წარმოადგენს სცენის „ყუთს“, რომლის იატაკზედაც მოთავსებული ნახაზი საეხებით შეეფარდება მეორე მაგალითში მოყვანილ მოხაზულობას. აქ ჩვენ ვარკვევთ, რომ წრის დიამეტრი „1-5“ სცენის სამოქმედო ფართობს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს: მარჯვენა ნახევარზე და მარცხენა ნახევარზე; წრის დიამეტრი „3-7“-კი წინა და უკანა თანაბარ ნახევარ ნაწილებად. დიამეტრი „2-6“ ან „4-8“ კუთხეებამდე გაგრძელებული იძლევა ირიბ ხაზს, რომელიც სცენის ფართობს ორ თანაბარ სამკუთხეხათ ჰყოფს.



ამრიგად, სრულიად საკმარისია შემსრულებელმა მოყვანილ პრინციპის თანახმად მხოლოდ რადიუსების განლაგების თანამიმდევრობითი ნუმერაცია დაიმასსოვროს, რომ ადვილად წარმოიდგინოს და იპოვოს ყველა სახისა და ფორმის ბაქანზე სამოქმედო



მ ა ყ უ რ ე ბ ე ღ ი

ნახ. VI

ფართობის ცენტრი, სამოქმედო ადგილის საზღვრები და რადიუსთა მიმართულება. და თუ ეს დასკვნა დამაჯერებელია, დამაჯერებელი იქნება ისიც, რომ შემსრულებელი შეძლებს ადვილად მიუხვდეს ხელმძღვანელის მოთხოვნა-კარნახს ამა თუ იმ მიმართულებით მოძრაობისათვის.

მაშასადამე, მოხსენებულ წესის თანახმად სამოქმედო ბაქნის დაგეგმვა საშუალებას მოგვცემს:

1. ადვილად აღენიშნოთ ან ჩაეწეროთ ცეკვის სვლის კვალი,
2. წავიკითხოთ ჩაწერილ ცეკვის სვლისგეზი და

3. მეცადინეობის ან რეპეტიციის დროს უკარნახოთ შემსრულებლებს მოძრაობის მიმართულება და განრიგების მოხაზულობა ან ადგილმდებარეობა.


მაგრამ, იბადება საკითხი: შეძლებს თუ არა შემსრულებელი, რომელმაც შეისწავლა ბაქნის დაგეგმვის მოყვანილი პრინციპი, დაიმასხოვრა საორიენტურო წერტილებისა და ხაზების ადგილმდებარეობა და მიმართულება, მიიღოს მასწავლებლის კარნახზე საჭირო მდგომარეობა პოზაში ან ამოძრაოს კიდურები. ზეტანი და თავი, როდესაც იგი იმყოფება არა ბაქნის ცენტრში და სახით არა მაყურებლისკენ?

ცხადია არა!, რადგანაც ბაქნის ფართობის დაგეგმვა ზემოხსენებულ წესით იძლევა მხოლოდ დანიშნულ ადგილის მოძებნისა და სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის შეცვლის სწორად შესრულების საშუალებას. რაც შეეხება სხეულის ნაწილების (კიდურების, ზეტანის, თავის) მოძრაობებს ან მიმართულებებს, მით უმეტესად, თუ შემსრულებელი სახით არაა „ც-1“ რადიუსის მიმართულებით (მაყურებლისკენ) დგას, არამედ სხვა მიმართულებით და ბაქნის მიჯნაზე — ეს სისტემა მას საჭირო დახმარებას ვერ გაუწევს. მაშასადამე, საჭიროა გამოიმუშავებულ იქნას ისეთი წესიცი, რომლის საფუძველზედაც უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლის ნაკარნახევ ამოცანის შესრულება კიდურების, ზეტანისა და თავის სასურველ მიმართულებით მოძრაობისათვის დამოუკიდებლად იმისა, თუ ბაქნის რა ადგილას დგას შემსრულებელი და საითაა სახით მიმართული. ამისათვის ჩვენ მისაღებად მკვავაჩნია შემდეგი:

ბაქნის რა ადგილზედაც და სახით რა მიმართულებითაც არ უნდა იდგეს შემსრულებელი, მისი საყრდნობი ადგილი მის ირგვილ შემოხაზული წარმოდგენითი წრის ცენტრად უნდა იგულისხმებოდეს, სახის პირდაპირი მიმართულება — პირველ რადიუსათ, და რადგანაც, ამგვარად, შემსრულებელმა იცის საკუთარი (თავისი. სუბიექტური) „ცენტრისა და პირველი რადიუსის“ ადგილმდებარეობა, მისთვის დანარჩენ წერტილებისა და ხაზების განრიგება ნათელი ხდება.

იმ მიზნით, რომ მოსწავლეს მასწავლებლის კარნახზე არ აეროოს ერთმანეთში ბაქნის ცენტრი და რადიუსები „საკუთარ ცენტრში და რადიუსებში“, საჭიროა პირობითად მივილოთ, რომ ამოცანის კარნახის წინ მასწავლებელი აღნიშნავდეს:

1. ბაქნის ფართობის წერტებზე ორიენტირებისათვის, ძახილით „ბაქანზე!.....“,



ნახ. VII

2. შემსრულებლისათვის საკუთარ ორიენტირს, ძახილით — „საკუთარ 1“.

ცეკვის ჩაწერის დროსაც საკიროა ბაქნის ხაზებისა და წერტების აღნიშვნას წინ მიეწეროს ასოები „ბქ“, ხოლო საკუთარ (სუბიექტურ) წერტებსა და ხაზებს „სკ“

**შენიშვნა:** საკიროდ მიგვაჩნია აღნიშნოთ, რომ ხედმეტი არ იქნებოდა ზემოხსენებულ 9 საორიენტირო წერტების გარდა საორიენტირო ხაზად ჩაგვეთვალა: 1. „1—5“ — მთავარ საგიტალურ ხაზად, 2. „3—7“ — გაგრძელებებით — მთავარ ფრონტალურ ხაზად. ხშირ შემთხვევებში ეს დახმარებას გაგვიწევს სელების ჩაწერისა და მოსწავლეთა განრიგების საქმეში.

## საცეკვაო მუსიკა

ხალხური საკრავები, როგორცაა: დუდუკი, ზურნა, დოლი, დაირა, კიბონი, სალამური, სტვირი, დიპლიპიტო, ჩონგური, ფანდური, კიანური და სხვ. ქორეოგრაფიულ წრეში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რასაკვირველია, ყველაზე ადვილად საშოვნელი და გამოსაყენებელია (სოფლად) დოლი და დაირა. დოლი და დაირა მართალია მელოდიურ ფაქტურას ვერ გადმოგვცემს, მაგრამ სამაგიეროდ მკაფიოდ და მკვეთრად გამოხატულ რიტმს იძლევა.

წრეში გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე (თუმცა არა ქართული, მაგრამ ხალხში ფართოდ გავრცელებული) გარმონი, ბაიანი და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები. თვითეული საკრავის ან მუსიკალური ინსტრუმენტთა ჯგუფის გამოყენება მიზანშეწონილად უნდა ხდებოდეს როგორც გაკვეთილებზე, ისე რეპერტიციებსა და საჯარო გამოსვლების დროს. თვითეული ცეკვისათვის მოფიქრებით და სისწორით უნდა შეირჩეს მუსიკალური მასალა.

არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საცეკვაო მელოდიას სხვადასხვა ხასიათის, მოხაზულობისა და შინაარსის ცეკვისათვის იყენებენ ერთ პროგრამაში. ეს რასაკვირველია, სწორი არ არის. თვითეული ცეკვისათვის ისეთი მუსიკალური თანხლება უნდა შეირჩეს, რომელიც მას ახასიათებს და ორგანულად შეწყობილია მასთან. იქ სადაც წრის განკარგულებაშია ფორტეპიანო და ნოტებით დამკვრელი მუსიკოსი, შესაძლებელია ცეკვების დამუშავება ქართველ კომპოზიტორთა საცეკვაო მუსიკის მასალაზე. ასე, მაგალითად: ზ. ფალიაშვილის „ქართული“, „მირზაია“ და „მხედრული“ ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“; „ფერხული“, „ქართული“, „კეკნაობა“ და „მთიულური“ ოპერა „დაისიდან“; დ. არაყიშვილის „თუშ ქალთა ცეკვა“, „სათამაშო“ და „დავლური“ ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“; მ. ბალანჩივაძის „ქალთა ცეკვა“ და „მხედრული“ ოპერა „დარეჯან ცბიერიდან“; შ. მშველიძის „ფერხული“, „მხედრული“, „ქალთა ცეკვა“ ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“; კ. ანდრიაშვილის „მწყემსური“, „დავლური“ და „ხანჭლური“ ოპერიდან „კაკო ყაჩაღი“, „სახუმარო“ და „მხედრული“ ოპერიდან „ლაშქარა“; გ. კილაძის „ხორუმი“ ოპე-

რიდან „ლადო კეცხოველი“, და მრავალი სხვა საცეკვაო მასალა ბალეტიდან „სინათლე“; ა. ბალანჩივიძის „სალხინო“ და „აფხაზური“ ოპერიდან „მზია“, „ქართული“, „მთიულური“ და მრავალი საცეკვაო მასალა ბალეტიდან „მთების გული“. დ. თორაძის „ხორუმი“, „ალალმე“, „მონხეური“ ბალეტიდან „გორდა“; ვ. დოლიძის „ზილგა“ ოპერიდან „ქეთო და კოტე“; შ. თაქთაქიშვილის „ქართული“, „აფხაზური“, „ხორუმი“, „ცერული“, „სახუმარო“ და სხვა ბალეტიდან „მალთაყვა“ და მრავალი სხვა საცეკვაო მუსიკალური მასალა კომპოზიტორების: ი. ტუსკიასის, რ. გაბინეაძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ვ. გოციელის, დ. თორაძის, კ. გულიაშვილის და სხვების.

### ქართული ქორეოგრაფიის ტერმინოლოგიის საკითხისათვის

თვითმოქმედ ქორეოგრაფიული წრის ნორმალურ მუშაობას დღემდე საგრძნობლად ხელს უშლიდა ქართული ხალხური ცეკვის ერთიანი ტერმინოლოგიის უქონლობა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე თუ ერთ ქორეოგრაფიულ წრეში რომელიმე ილეთი ერთი დასახელებით იყო ცნობილი, მეორე წრეში მას სულ სხვა სახელწოდებით იცნობდნენ. ამის გამო თვითმოქმედი წრის წევრი, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო უხდებოდა ერთი წრიდან მეორეში გადასვლა, იძულებული ხდებოდა თავიდან შედგომოდა ილეთების დასახელებების შესწავლას, რომლებიც მას შესწავლილი ჰქონდა ახალ წრეში გადმოსვლამდე, ხოლო აქ, ახალ წრეში, ნაცნობ ილეთებს რატომღაც სულ სხვა დასახელება აღმოაჩნდა მიკუთვნილი. ცხადია, ასეთი მდგომარეობა აძნელებდა მასწავლებლის და მოსწავლის ურთიერთგაგებას.

დღეს უკვე არსებობს ქართული ხალხური საცეკვაო ძირითადი ილეთების და მოძრაობების ერთიანი ტერმინოლოგია, რომელიც საქართველოს თეატრალური საზოგადოების სატერმინოლოგია კომისიის მიერ განხილული, შესწორებული და დადგენილია. მაშასადამე, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დახმარებით (რომელიც უთუოდ იზრუნებს ქართული ხალხური ცეკვის ტერმინოლოგიის საჩქაროდ გამოცემაზე და მის დაგზავნაზე წრეებში) შესაძლებელი ხდება ქორეოგრაფიულ წრეებში ერთიანი ტერმინოლოგიის შემოღება.

ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელმა შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ცეკვების და ილეთების დასახელებების სწორად ხმარებას, რაც საშუალებას მიცემს წრის წევრს შეითვისოს არა მარტო მათი გარეგანი ფორმა, არამედ ჩაწვდეს მის შინაარსსაც.

ქორეოგრაფიული წრეების და კოლექტივების ხელმძღვანელებს და წევრებს მიუთითებთ, რათა დიდი სიფრთხილით მიუდგნენ ახალი ცეკვის ან ილეთისათვის ტერმინების შექმნა-შემოდების საკითხს.

